საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №003

2023 წლის 17 თებერვალი

ქ. თბილისი

პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-9 მუხლის მე-9 პუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 32-ე, 33-ე და 34-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 აგვისტოს №421 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საპენსიო სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის №25 სხდომის ოქმის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

1. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს 2019 წლის 30 ივლისის №003 ბრძანება „პენსიის და საპენსიო აქტივების გაცემის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 31/07/2019, სარეგისტრაციო კოდი: 280030000.73.085.016003).

2. დამტკიცდეს „პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემის შესახებ“ თანდართული ინსტრუქცია.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2023 წლის 1 მარტიდან.

საპენსიო სააგენტოს დირექტორი **გიორგი დანელია**

ინსტრუქცია
პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს ინსტრუქცია განსაზღვრავს და აწესრიგებს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მონაწილეთათვის პენსიის დაანგარიშების, დანიშვნის, გაცემისა და გადაანგარიშების, ასევე, გარდაცვლილ მონაწილეთა მემკვიდრეების მიერ საპენსიო აქტივების მიღების წესსა და პროცედურებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ წინამდებარე ინსტრუქციით სხვაგვარად არ არის განმარტებული.

2. ამ ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **კანონი** – „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი;

ბ) **ელექტრონული სისტემა** – საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა, როგორც განმარტებულია კანონით;

გ) **საპენსიო სააგენტო** ან **სააგენტო** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი საპენსიო სააგენტო;

დ) **ინდივიდუალური საპენსიო გვერდი** – ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაწილის გვერდი, საიდანაც მონაწილეს აქვს წვდომა ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, როგორც განმარტებულია კანონით;

ე) **საპენსიო სქემა** – კანონით განსაზღვრული დაგროვებითი საპენსიო სქემა;

ვ) **სტატისტიკური მონაცემები** - სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად გამოქვეყნებული მონაცემები;

ზ) **წარმომადგენელი** – მონაწილის ან გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი;

თ) **უფლებამოსილი თანამშრომელი** – საპენსიო სააგენტოს ან/და უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს სათანადოდ უფლებამოსილი თანამშრომელი;

ი) **უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო** - საპენსიო სააგენტოსათვის სამართლებრივი დახმარების ან მომსახურების გამწევი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უფლებამოსილია იმოქმედოს ამ ინსტრუქციის შესაბამისად. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს არსებობის შემთხვევაში, მის შესახებ ინფორმაცია (სახელწოდება, მისამართი) გამოქვეყნებული იქნება საპენსიო სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე;

კ) **სამედიცინო დაწესებულება** – „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს

კანონით განსაზღვრული შესაბამისი სამედიცინო დაწესებულება.

მუხლი 3. პენსიის გაცემის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანო

1. საპენსიო სააგენტო, კანონის შესაბამისად, ახდენს პენსიის და საპენსიო აქტივების დაანგარიშების, დანიშვნის, გაცემისა და გადაანგარიშების ორგანიზებას, აგრეთვე პენსიისა და საპენსიო აქტივების ღირებულების მიღებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების რეგულირებას და კანონით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელებას, მოქმედი კანონმდებლობითა და ამ ინსტრუქციით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2. საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია თავის საქმიანობაში გამოიყენოს ელექტრონული სისტემა.

თავი II

პენსიის მიღების ფორმები

მუხლი 4. საპენსიო ასაკში პენსიის მიღების ფორმები

1. საპენსიო ასაკის მიღწევისას მონაწილეს წარმოეშობა უფლება, მიიღოს ამ ინსტრუქციის შესაბამისად დაანგარიშებული პენსია, კანონით და ამ ინსტრუქციით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

2. საპენსიო ასაკის მიღწევისას მონაწილე უფლებამოსილია მიიღოს პენსია:

ა) პროგრამული გატანით, წინამდებარე ინსტრუქციის მე-14 მუხლით განსაზღვრული წესით; პროგრამული გატანის ფორმის არჩევისას მონაწილეს უფლება აქვს აირჩიოს პროგრამული გატანის

შემდეგი ორი ფორმიდან ერთ-ერთი:

ა.ა) პროგრამული გატანა, მოსახლეობის ასაკობრივი განაწილებისა და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, პენსიის ყოველწლიური გადაანგარიშებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შეცვლის პირობით, წინამდებარე ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად;

ა.ბ) პროგრამული გატანა, პენსიის ყოველწლიური გადაანგარიშებისას, პენსიის დანიშვნისას განსაზღვრული სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შესახებს სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, შეცვლის გარეშე, წინამდებარე ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

შენიშვნა: პროგრამული გატანის აღნიშნული ფორმის არჩევის შემთხვევაში, პენსიის დანიშვნისას განსაზღვრული სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ამოწურვის შემდეგ, მონაწილე ვეღარ მიიღებს კანონით განსაზღვრულ დაგროვებით პენსიას, რამდენადაც მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივები ამოწურული იქნება.

ბ) მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივებით, პენსიის მიღების მიზნით სადაზღვევო ანუიტეტური პროდუქტის შეძენით, წინამდებარე ინსტრუქციის მე-15 მუხლით განსაზღვრული წესით;

გ) მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების ღირებულების ერთიანი გადახდით, წინამდებარე ინსტრუქციის მე-16 მუხლით განსაზღვრული წესით. აღნიშნული ფორმა შესაძლოა არჩეულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

გ.ა) მონაწილემ საპენსიო ასაკს მიაღწია საპენსიო სქემაში გაწევრიანების თარიღიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) წლისა, ან უკვე იყო საპენსიო ასაკის საპენსიო სქემაში გაწევრიანების თარიღისათვის, ან

გ.ბ) მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების პროგრამული გატანის შემთხვევაში მისი ყოველთვიური პენსია იქნება განცხადების მიღების დროისათვის, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, საშუალო თვიური დარიცხული ხელფასის 10%-ის ტოლი ან ნაკლები.

მუხლი 5. შესაძლებლობის შეზღუდვისას პენსიის მიღების ფორმები

1. შესაძლებლობის შეზღუდვისას მონაწილე უფლებამოსილია საპენსიო ასაკის მიღწევამდე მიიღოს პენსია, კანონისა და წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად.

2. შესაძლებლობის შეზღუდვის გამო პენსია შესაძლოა გაიცეს:

ა) პროგრამული გატანით, წინამდებარე ინსტრუქციის მე-18 მუხლით განსაზღვრული წესით. პროგრამული გატანის ფორმის არჩევისას მონაწილე უფლებამოსილია აირჩიოს პროგრამული გატანის წინამდებარე ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ორი ფორმიდან ერთ-ერთი;

ბ) მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივებით, პენსიის მიღების მიზნით სადაზღვევო ანუიტეტური პროდუქტის შეძენით, წინამდებარე ინსტრუქციის მე-19 მუხლით განსაზღვრული წესით;

გ) მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების ღირებულების ერთიანი გადახდით, წინამდებარე ინსტრუქციის მე-20 მუხლით განსაზღვრული წესით.

მუხლი 6. საპენსიო აქტივების მონაწილის მემკვიდრისათვის გადაცემის ფორმები

1. მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივები გადაეცემა გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრე(ებ)ს კანონის, წინამდებარე ინსტრუქციისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და რეგულაციების შესაბამისად.

2. მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში მისი მემკვიდრე უფლებამოსილია მიიღოს გარდაცვლილი მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივები:

ა) საპენსიო სქემის მონაწილე მემკვიდრის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადატანის გზით, წინამდებარე ინსტრუქციის 21-ე მუხლით განსაზღვრული წესით;

ბ) გარდაცვლილი მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების ღირებულების ერთიანი გადახდით, წინამდებარე ინსტრუქციის 22-ე მუხლით განსაზღვრული წესით.

მუხლი 7. საქართველოს სამუდამოდ დატოვებისას საპენსიო აქტივების მიღების ფორმები

1. საქართველოს სამუდამოდ დატოვების შემთხვევაში მონაწილე უფლებამოსილია მიიღოს საპენსიო აქტივები კანონითა და წინამდებარე ინსტრუქციით განსაზღვრული წესით.

2. საქართველოს სამუდამოდ დატოვებისას მონაწილე უფლებამოსილია მიიღოს საპენსიო აქტივები:

ა) პროგრამული გატანით, წინამდებარე ინსტრუქციის 24-ე მუხლით განსაზღვრული წესით. პროგრამული გატანის ფორმის არჩევისას მონაწილე უფლებამოსილია აირჩიოს პროგრამული გატანის წინამდებარე ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ორი ფორმიდან ერთ-ერთი;

ბ) ერთიანი გადახდით, წინამდებარე ინსტრუქციის 25-ე მუხლით განსაზღვრული წესით.

თავი III

განცხადების წარდგენის, განხილვისა და მიღების წესი

მუხლი 8. საპენსიო სააგენტოსთვის განცხადებით მიმართვის წესი

1. კანონისა და წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად, პენსიის ან საპენსიო აქტივების მიღების მიზნით, მონაწილე ან გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრე პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით უფლებამოსილია:

ა) საპენსიო სააგენტოს მისამართზე გააგზავნოს ამ თავით განსაზღვრული, ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტები; ან

ბ) მიმართოს საპენსიო სააგენტოს, საპენსიო სააგენტოს მისამართზე გამოცხადების გზით ან უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მის ტერიტორიულ ორგანოებში (ფილიალებში) გამოცხადების გზით და ამ ინსტრუქციის შესაბამისად წარადგინოს ამ თავით განსაზღვრული დოკუმენტები. საპენსიო სააგენტოს მისამართი და უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია (სახელწოდება და მისამართ(ებ)ი) მითითებულია საპენსიო სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე: www.pensions.ge.

მუხლი 9. საპენსიო ასაკში პენსიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები

1. საპენსიო ასაკში პენსიის მიღების მიზნით მონაწილე ვალდებულია ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მონაწილის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, რომელიც დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) მონაწილის იმ საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც უნდა განხორციელდეს პენსიის გადარიცხვა. საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები წარდგენილი უნდა იქნეს ბანკის მიერ სველი ბეჭდით დამოწმებული ან შესაბამისი ბანკის ინტერნეტ/მობაილ ბანკის გვერდიდან ჩამოტვირთული ფორმით;

გ) სადაზღვევო ანუიტეტური პროდუქტის შეძენის გზით პენსიის მიღების სურვილის შემთხვევაში:

გ.ა) ხელშეკრულება, სადაზღვევო თუ სხვა ფინანსურ ინსტიტუტსა და მონაწილეს შორის, რომლის ფარგლებშიც მონაწილე იძენს სადაზღვევო ანუიტეტურ პროდუქტს პენსიის მიღების მიზნით; საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულება, რომელზე ხელმოწერაც სანოტარო წესით იქნება დამოწმებული ნოტარიუსის მიერ, ან ასეთი ხელშეკრულების ასლი, რომელიც ასევე დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ.ბ) იმ სადაზღვევო, თუ სხვა ფინანსური ინსტიტუტის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, სადაც უნდა მოხდეს მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების ღირებულების ოდენობის თანხის გადარიცხვა (იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაცია არ არის მოცემული „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოდგენილ ხელშეკრულებაში); საბანკო ანგარიშის რეკვიზები წარდგენილი უნდა იქნეს ბანკის მიერ სველი ბეჭდით დამოწმებული ან შესაბამისი ბანკის ინტერნეტ/მობაილ ბანკის გვერდიდან ჩამოტვირთული ფორმით;

დ) ამ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, დამატებით, საპენსიო ასაკში პენსიის მიღების შესახებ სტანდარტული განცხადების შევსებული და ხელმოწერილი ვერსია. განცხადებაზე ხელმოწერის ფაქტი დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. განცხადების ფორმა თან ერთვის წინამდებარე ინსტრუქციას (დანართი 1(ა), ხოლო წარმომადგენლობის შემთხვევაში – დანართი 1(ბ)), ასევე განთავსებულია საპენსიო სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. საპენსიო ასაკში პენსიის მიღების მიზნით მონაწილის წარმომადგენლის მეშვეობით განცხადების წარდგენისას, მონაწილის წარმომადგენელი ვალდებულია ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, რომელიც დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი; დოკუმენტის საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში წარდგენილი უნდა იქნეს ასეთი დოკუმენტის ორიგინალი ან კანონმდებლობით დადგენილი წესით ნოტარიულად დამოწმებული ასლი. მინდობილობის (რწმუნებულების, დავალების ხელშეკრულების) საფუძველზე წარმომადგენლობის შემთხვევაში, შესაბამისი მინდობილობა (რწმუნებულება, დავალების ხელშეკრულება) დამოწმებული უნდა იქნეს სანოტარო წესით;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები, გარდა პირველი პუნქტის

„ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტისა.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლით გათვალისწინებული, საპენსიო სააგენტოსათვის წარსადგენი დოკუმენტები შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, საპენსიო სააგენტოსათვის წარდგენილი უნდა იქნეს ასეთი დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

მუხლი 10. შესაძლებლობის შეზღუდვისას პენსიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები

1.შესაძლებლობის შეზღუდვისას პენსიის მიღების მიზნით მონაწილე ვალდებულია ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მონაწილის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, რომელიც დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) მონაწილის შესაძლებლობის შეზღუდვის დამადასტურებელი, კანონის ამოქმედებამდე ან/და მისი ამოქმედების შემდგომ, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის აქტის (სსე აქტი) ამონაწერის ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან სსე აქტის ამონაწერის ორიგინალის სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ დადასტურებული ასლი;

გ) ერთიანი გადახდით ან პროგრამული გატანით პენსიის მიღების სურვილის შემთხვევაში, მონაწილის იმ საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც უნდა განხორციელდეს პენსიის გაცემა; საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები წარდგენილი უნდა იქნეს ბანკის მიერ სველი ბეჭდით დამოწმებული ან შესაბამისი ბანკის ინტერნეტ/მობაილ ბანკის გვერდიდან ჩამოტვირთული ფორმით.

დ) სადაზღვევო ანუიტეტური პროდუქტის შეძენის გზით პენსიის მიღების სურვილის შემთხვევაში:

დ.ა) ხელშეკრულება სადაზღვევო თუ სხვა ფინანსურ ინსტიტუტსა და მონაწილეს შორის, რომლის ფარგლებშიც მონაწილე იძენს სადაზღვევო ანუიტეტურ პროდუქტს პენსიის მიღების მიზნით; საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულება, რომელზე ხელმოწერაც სანოტარო წესით იქნება დამოწმებული ნოტარიუსის მიერ, ან ასეთი ხელშეკრულების ასლი, რომელიც ასევე დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ.ბ) იმ სადაზღვევო თუ სხვა ფინანსური ინსტიტუტის საბანკო რეკვიზიტები, სადაც უნდა მოხდეს მთლიანი საპენსიო აქტივების გადარიცხვა (იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაცია არ არის მოცემული „დ.ა“ პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილ ხელშეკრულებაში); საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები წარდგენილი უნდა იქნეს ბანკის მიერ სველი ბეჭდით დამოწმებული ან შესაბამისი ბანკის ინტერნეტ/მობაილ ბანკის გვერდიდან ჩამოტვირთული ფორმით.

ე) ამ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, დამატებით, შესაძლებლობის შეზღუდვის გამო პენსიის მიღების შესახებ სტანდარტული განცხადების შევსებული და ხელმოწერილი ვერსია; განცხადებაზე ხელმოწერის ფაქტი დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. განცხადების ფორმა თან ერთვის წინამდებარე ინსტრუქციას (დანართი 2(ა), ხოლო წარმომადგენლობის შემთხვევაში – დანართი 2 (ბ)), ასევე განთავსებულია საპენსიო სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. შესაძლებლობის შეზღუდვისას პენსიის მიღების მიზნით მონაწილის წარმომადგენლის მეშვეობით განცხადების წარდგენისას, მონაწილის წარმომადგენელი ვალდებულია ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მონაწილის წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, რომელიც დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი; დოკუმენტის საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში წარდგენილი უნდა იქნეს ასეთი დოკუმენტის ორიგინალი ან კანონმდებლობით დადგენილი წესით ნოტარიულად დამოწმებული ასლი. მინდობილობის (რწმუნებულების, დავალების ხელშეკრულების) საფუძველზე წარმომადგენლობის შემთხვევაში, შესაბამისი მინდობილობა (რწმუნებულება, დავალების ხელშეკრულება) დამოწმებულ უნდა იქნას სანოტარო წესით;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები, გარდა პირველი პუნქტის

„ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტისა.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლით გათვალისწინებული, საპენსიო სააგენტოსათვის წარსადგენი დოკუმენტები შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, საპენსიო სააგენტოსათვის წარდგენილი უნდა

იქნეს ასეთი დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

მუხლი 11. მემკვიდრის მიერ საპენსიო აქტივების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები

1. გარდაცვლილი მონაწილის საპენსიო აქტივების მემკვიდრეობით მიღების მიზნით გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრე ვალდებულია ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, რომელიც დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) გარდაცვლილი მონაწილის დანაშთ ქონებაზე ნოტარიუსის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული სამკვიდრო მოწმობა; დოკუმენტის საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში წარდგენილი უნდა იქნეს სამკვიდრო მოწმობის ორიგინალი ან ორიგინალის ასლი, რომელიც ასევე დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიუსის მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) გარდაცვლილი მონაწილის საპენსიო აქტივების ღირებულების ერთიანი გადახდით მიღების სურვილის შემთხვევაში – მემკვიდრის იმ საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც უნდა განხორციელდეს საპენსიო აქტივების ღირებულების გადაცემა; საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები წარდგენილი უნდა იქნეს ბანკის მიერ სველი ბეჭდით დამოწმებული ან შესაბამისი ბანკის ინტერნეტ/მობაილ ბანკის გვერდიდან ჩამოტვირთული ფორმით;

დ) ამ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, დამატებით, მემკვიდრისათვის საპენსიო აქტივების გაცემის შესახებ სტანდარტული განცხადების შევსებული და ხელმოწერილი ვერსია. განცხადებაზე ხელმოწერის ფაქტი დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. განცხადების ფორმა თან ერთვის წინამდებარე ინსტრუქციას (დანართი 3 (ა), ხოლო წარმომადგენლობის შემთხვევაში – დანართი 3 (ბ)), ასევე განთავსებულია საპენსიო სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. გარდაცვლილი მონაწილის საპენსიო აქტივების მემკვიდრეობით მიღების მიზნით, მემკვიდრის წარმომადგენლის მეშვეობით განცხადების წარდგენისას, გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის წარმომადგენელი ვალდებულია, ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, რომელიც დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი; დოკუმენტის საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში წარდგენილი უნდა იქნეს ასეთი დოკუმენტის ორიგინალი ან კანონმდებლობით დადგენილი წესით ნოტარიულად დამოწმებული ასლი. მინდობილობის (რწმუნებულების, დავალების ხელშეკრულების) საფუძველზე წარმომადგენლობის შემთხვევაში, შესაბამისი მინდობილობა (რწმუნებულება, დავალების ხელშეკრულება) დამოწმებულ უნდა იქნას სანოტარო წესით;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები, გარდა „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტისა.

3. იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილ მონაწილეს ჰყავს რამდენიმე მემკვიდრე, თავისი წილი საპენსიო აქტივების მიღების მიზნით ყველა მემკვიდრე ვალდებულია პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით ამ ინსტრუქციით განსაზღვრული წესით წარადგინოს წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლით გათვალისწინებული, საპენსიო სააგენტოსათვის წარსადგენი დოკუმენტები შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, საპენსიო სააგენტოსათვის წარდგენილი უნდა იქნეს ასეთი დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

მუხლი 12. საქართველოს სამუდამოდ დატოვებისას საპენსიო აქტივების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები

1. საქართველოს სამუდამოდ დატოვებისას, საპენსიო აქტივების მიღების მიზნით, მონაწილე ვალდებულია წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მონაწილის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, რომელიც დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) სხვა სახელმწიფოში კანონიერი, მუდმივი ცხოვრების უფლების დამადასტურებელი, სხვა სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოს მიერ სათანადოდ გაცემული დოკუმენტის აპოსტილით დამოწმებული ასლი;

გ) მონაწილის იმ საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც უნდა განხორციელდეს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების ღირებულების გადახდა. საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები წარდგენილი უნდა იქნეს ბანკის მიერ სველი ბეჭდით დამოწმებული ან შესაბამისი ბანკის ინტერნეტ/მობაილ ბანკის გვერდიდან ჩამოტვირთული ფორმით.

დ) ამ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, დამატებით, საქართველოს სამუდამოდ დატოვებისას საპენსიო აქტივების მიღების შესახებ სტანდარტული განცხადების შევსებული და ხელმოწერილი ვერსია. განცხადებაზე ხელმოწერის ფაქტი დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. განცხადების ფორმა თან ერთვის წინამდებარე ინსტრუქციას (დანართი 4 (ა), ხოლო წარმომადგენლობის შემთხვევაში – დანართი 4 (ბ)), ასევე განთავსებულია საპენსიო სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

2. საქართველოს სამუდამოდ დატოვებისას, საპენსიო აქტივების მიღების მიზნით, მონაწილის წარმომადგენლის მიერ მიმართვის შემთხვევაში, მონაწილის წარმომადგენელი ვალდებულია ამ ინსტრუქციით განსაზღვრული წესით წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მონაწილის წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, რომელიც დამოწმებულ უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი; დოკუმენტის საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში წარდგენილი უნდა იქნეს ასეთი დოკუმენტის ორიგინალი ან კანონმდებლობით დადგენილი წესით ნოტარიულად დამოწმებული ასლი. მინდობილობის (რწმუნებულების, დავალების ხელშეკრულების) საფუძველზე წარმომადგენლობის შემთხვევაში, შესაბამისი მინდობილობა (რწმუნებულება, დავალების ხელშეკრულება) დამოწმებულ უნდა იქნას სანოტარო წესით;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტისა.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლით გათვალისწინებული, საპენსიო სააგენტოსათვის წარსადგენი დოკუმენტები შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, საპენსიო სააგენტოსათვის წარდგენილი უნდა იქნეს ასეთი დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

მუხლი 13. განცხადების მიღებისა და განხილვის წესი

1. პენსიის ან საპენსიო აქტივების ღირებულების მიღების მიზნით, პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილის ან გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის ან მათი წარმომადგენლის საპენსიო სააგენტოში ან უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გამოცხადების შემთხვევაში, ამ თავის შესაბამისად წარდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების და მისი წარმდგენი პირის იდენტიფიცირებისთანავე, უფლებამოსილი თანამშრომელი აწვდის განმცხადებელს ინფორმაციას პენსიის ან საპენსიო აქტივების ღირებულების მიღების იმ ფორმების შესახებ, რომლებიდანაც შესაბამის განმცხადებელი უფლებამოსილია კანონისა და ამ ინსტრუქციის შესაბამისად აირჩიოს პენსიის ან საპენსიო აქტივების ღირებულების მიღების ფორმა. აღნიშნულის შემდეგ, უფლებამოსილ თანამშრომელს ელექტრონული სისტემის შესაბამის გრაფაში შეჰყავს პიროვნების იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი შესაბამისი ინფორმაცია და მონაწილის / გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის ან წარმომადგენლის მიერ შერჩეული პენსიის ან საპენსიო აქტივების ღირებულების მიღების ფორმა.

2. ელექტრონულ სისტემაში უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შეყვანის შემდგომ უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ სათანადო ღილაკზე დაჭერის გზით ელექტრონული სისტემის მიერ ავტომატურ რეჟიმში გენერირდება განცხადება ამ ინსტრუქციით მოცემული შესაბამისი დანართის ფორმით. ელექტრონული სისტემის მიერ განცხადების გენერირების შემდგომ, უფლებამოსილი თანამშრომელი ამობეჭდავს განცხადებას და გაცნობის მიზნით გადასცემს მონაწილეს, გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრეს ან წარმომადგენელს.

3. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ეთანხმება განცხადებაში მითითებულ ინფორმაციას, უფლებამოსილი თანამშრომლის თანდასწრებით კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან მატერიალურად ხელს აწერს მას და გადასცემს უფლებამოსილ თანამშრომელს. ხოლო თუ დასაქმებული ან წარმომადგენელი უარს განაცხადებს განცხადების ხელმოწერაზე, უფლებამოსილი თანამშრომელი უზრუნველყოფს განმცხადებლის მიერ შესაბამის გაუქმების ბარათის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან მატერიალური ფორმით ხელმოწერას და აღნიშნული ბარათის საფუძველზე განცხადების გაუქმების ფაქტს ასახავს ელექტრონულ სისტემაში.

4. მონაწილის, მონაწილის მემკვიდრის ან მათი წარმომადგენლის მიერ განცხადების ელექტრონულად ხელმოწერის შემთხვევაში განცხადება ავტომატურად აისახება ელექტრონულ სისტემაში, ხოლო განცხადების მატერიალური ფორმით ხელმოწერის შემთხვევაში უფლებამოსილი თანამშრომელი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს განცხადების ელექტრონულ სისტემაში ასახვას. მატერიალურად ხელმოწერილი განცხადება ინახება საპენსიო სააგენტოში.

5. განცხადების ელექტრონულ სისტემაში ასახვისთანავე, ელექტრონული სისტემა ავტომატურ რეჟიმში დააგენერირებს სამახსოვრო ბარათს, რომ მონაწილის, ან მისი წარმომადგენლის მიერ მოთხოვნილ იქნა პენსიის დანიშვნა ან საპენსიო აქტივების გადაცემა, ხოლო მემკვიდრის შემთხვევაში – მონაწილის მემკვიდრის ან მისი წარმომადგენლის მიერ მოთხოვნილი იქნა საპენსიო აქტივების გადაცემა. უფლებამოსილი თანამშრომელი უზრუნველყოფს აღნიშნული სამახსოვრო ბარათის ამობეჭდვას, და მონაწილისთვის, მონაწილის მემკვიდრისთვის ან წარმომადგენლისთვის გადაცემას.

6. წინამდებარე ინსტრუქციის ამ თავით განსაზღვრული დოკუმენტების საპენსიო სააგენტოს მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში უფლებამოსილი თანამშრომელი უზრუნველყოფს პენსიის ან საპენსიო აქტივების მიღების შესახებ განცხადების ასახვას ელექტრონულ სისტემაში, ხოლო განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტაციას ინახავს შემდგომი რეაგირების მიზნით.

7. საპენსიო სააგენტო პენსიის დანიშვნის ან საპენსიო აქტივების გადაცემის საკითხის განხილვას დაიწყებს ამ თავით განსაზღვრული დოკუმენტაციის მიღების დღიდან. წინამდებარე ინსტრუქციით განსაზღვრული პენსიის ან საპენსიო აქტივების ღირებულების შესაბამისი თანხის მიღებისთვის განსაზღვრული ვადა აითვლება ასეთი დოკუმენტაციის მიღების დღის მომდევნო სამუშაო დღიდან. იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით განსაზღვრული დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულად ან არასათანადოდ, საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია შესაბამისი განმცხადებლისათვის წარდგენილი შეტყობინების საფუძველზე მოითხოვოს ამ თავით განსაზღვრული დოკუმენტების სრულყოფილად ან/და სათანადოდ წარამოდგენა და აღნიშნულისათვის განსაზღვროს ვადა არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ საპენსიო სააგენტოს მიერ განსაზღვრულ

ვადაში არ მოხდება სრულყოფილი და სათანადო დოკუმენტების წარდგენა, საპენსიო სააგენტო განუხილველად დატოვებს პენსიის დანიშვნის ან საპენსიო აქტივების გადაცემის შესახებ განცხადებას.

თავი IV

საპენსიო ასაკში პენსიის დაანგარიშების, დანიშვნის, გადაანგარიშებისა და გაცემის წესი

მუხლი 14. საპენსიო ასაკში პენსიის გაცემა პროგრამული გატანით

1. მონაწილის მიერ პენსიის პროგრამული გატანით გაცემის მოთხოვნის შემთხვევაში საპენსიო სააგენტო, განცხადების მიღების შემდეგ, აღნიშნული განცხადების დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გამოითვლის მონაწილის მიერ მისაღებ პენსიას შემდეგი ფორმულით:

MP = PA / T / 12,

სადაც:

MP არის ყოველთვიური პენსია;

PA არის მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების ღირებულება გამოთვლის დღის მდგომარეობით და მასზე დარიცხული საინვესტიციო შემოსავლის, ნამეტი შემოსავლის და სხვა შემოსავლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი ხარჯისა და დანაკარგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით;

T არის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით გამოთვლის დღისათვის მონაწილის სიცოცხლის მოსალოდნელი დარჩენილი წლების რაოდენობა;

12 არის წელიწადის თვეების რაოდენობა.

2. საპენსიო სააგენტო, შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას, ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული შესაბამისი განცხადების საფუძველზე პენსიის დანიშვნის თაობაზე და ასეთ გადაწყვეტილებას უგზავნის მონაწილეს მისი ინდივიდუალური საპენსიო გვერდის მეშვეობით. ამასთან, საპენსიო სააგენტო ელექტრონული სისტემის მეშვეობით მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ასახავს ინფორმაციას ყოველთვიურად მისაღები პენსიის ოდენობის შესახებ, რომელიც ფიქსირებულია ერთი წლის განმავლობაში, მონაწილის ასაკის შეცვლის თვის ბოლომდე. ასეთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის საფუძველზე მონაწილეს ეცვლება სტატუსი, ის ტოვებს საპენსიო სქემას და ხდება პენსიის მიმღები.

3. იმ შემთხვევაში, თუ საპენსიო სააგენტოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება პენსიის გაცემის შესახებ, პენსიის გაცემა დაიწყება წინამდებარე ინსტრუქციით განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის საპენსიო სააგენტოს მიერ მიღების დღის მეორე სამუშაო დღიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში. ყოველი შემდგომი პენსიის გაცემა საპენსიო სააგენტოს მიერ მოხდება არაუგვიანეს შესაბამისი კალენდარული თვის ბოლო სამუშაო დღისა.

მუხლი 15. საპენსიო ასაკში პენსიის მიღების მიზნით სადაზღვევო ანუიტეტური პროდუქტის შეძენა

1. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეს სურს პენსიის მიღების მიზნით სადაზღვევო ანუიტეტური პროდუქტის შეძენა, წინამდებარე ინსტრუქციით განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში საპენსიო სააგენტო:

ა) შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მონაწილის მიერ სადაზღვევო ანუიტეტური პროდუქტის შეძენის მიზნით, შესაბამისი სადაზღვევო თუ სხვა ფინანსური ინსტიტუტისათვის საპენსიო აქტივების გადაცემის თაობაზე და ასეთ გადაწყვეტილებას უგზავნის მონაწილეს მისი ინდივიდუალური საპენსიო გვერდის მეშვეობით. ასეთი ინდივიდუალური ადმინსიტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე

მონაწილეს ეცვლება სტატუსი, ის ტოვებს საპენსიო სქემას და ხდება პენსიის მიმღები.

ბ) უზრუნველყოფს პენსიის მიმღების ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების ღირებულების შესაბამისი თანხის გადარიცხვას, მონაწილის ან მონაწილის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ სადაზღვევო ან სხვა ფინანსური ინსტიტუტის საბანკო ანგარიშზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დაბეგვრით.

მუხლი 16. საპენსიო ასაკში პენსიის გაცემა ერთიანი გადახდით

1. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, მონაწილე უფლებამოსილია მიიღოს პენსია ერთიანი გადახდით, წინამდებარე ინსტრუქციით განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში საპენსიო სააგენტო:

ა) შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მონაწილისათვის ერთიანი გადახდით პენსიის დანიშვნის შესახებ და ასეთ გადაწყვეტილებას უგზავნის მონაწილეს მისი ინდივიდუალური საპენსიო გვერდის მეშვეობით. ასეთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მონაწილეს ეცვლება სტატუსი, ის ტოვებს საპენსიო სქემას და ხდება პენსიის მიმღები.

ბ) პენსიის მიმღების საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით გასცემს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების ღირებულებას შესაბამისი თანხის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დაბეგვრით.

მუხლი 17. საპენსიო ასაკში პენსიის გადაანგარიშება

1. პროგრამული გატანით გასაცემი პენსიის ოდენობა გადაანგარიშდება ყოველწლიურად, პენსიის მიმღების ასაკის შეცვლის თვის ბოლო სამუშაო დღეს.

2. მონაწილის ან მისი წარმომადგენლის მიერ პროგრამული გატანის, წინამდებარე ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პენსიის მიღების ფორმის არჩევის შემთხვევაში ყოველთვიური პენსიის ოდენობა გადაანგარიშდება შემდეგი ფორმულით:

MP=PA / T / 12,

სადაც:

MP არის ყოველთვიური პენსია;

PA არის პენსიის მიმღების ასაკის შეცვლის თვის ბოლო სამუშაო დღის მდგომარეობით პენსიის მიმღების ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების ღირებულება, დარიცხული საინვესტიციო შემოსავლის, ნამეტი შემოსავლის და სხვა შემოსავლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი ხარჯისა და დანაკარგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით;

T არის გადაანგარიშების დღის მდგომარეობით არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით პენსიის მიმღების სიცოცხლის მოსალოდნელი დარჩენილი წლების რაოდენობა;

12 არის წელიწადში თვეების რაოდენობა.

3. მონაწილის ან მისი წარმომადგენლის მიერ პროგრამული გატანის წინამდებარე ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პენსიის მიღების ფორმის არჩევის შემთხვევაში ყოველთვიური პენსიის ოდენობა გადაანგარიშდება შემდეგი ფორმულით:

MP=PA / (T – t) / 12,

სადაც:

MP არის ყოველთვიური პენსია;

PA არის გადაანგარიშების დღის მდგომარეობით პენსიის მიმღების ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების ღირებულება, დარიცხული საინვესტიციო შემოსავლის, ნამეტი შემოსავლის და სხვა შემოსავლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი ხარჯისა და დანაკარგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით;

T არის გამოთვლის დღის მდგომარეობით არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით პენსიის მიმღების სიცოცხლის მოსალოდნელი წლების რაოდენობა;

t არის იმ წლების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც პენსიის მიმღები იღებდა პენსიას. t- ს მაქსიმალური მნიშვნელობა არის T – 1.

12 არის წელიწადის თვეების რაოდენობა.

4. პროგრამული გატანის წინამდებარე ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პენსიის მიღების ფორმის არჩევის შემთხვევაში:

ა) იმ შემთხვევაში, თუ პენსიის დანიშვნისას განსაზღვრული სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ამოწურვისას პენსიის მიმღების ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე კვლავ არის დარჩენილი საპენსიო აქტივები, ასეთი საპენსიო აქტივების ღირებულება დაემატება სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ამოწურვამდე არსებულ ბოლო თვის პენსიას და გადახდილ იქნება პენსიის მიმღებისათვის;

ბ) პენსიის დანიშვნისას განსაზღვრული სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ამოწურვის შემდეგ მონაწილე ვეღარ მიიღებს კანონით განსაზღვრულ პენსიას, რამდენადაც მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივები ამოწურული იქნება.

5. პენსიის ოდენობის გადაანგარიშების დღეს საპენსიო სააგენტო შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას პენსიის გადაანგარიშების თაობაზე აცნობებს პენსიის მიმღებს მისი ინდივიდუალური საპენსიო გვერდის მეშვეობით. გადაანგარიშებული პენსია ფიქსირებულია პენსიის მიმღების ასაკის შემდგომი შეცვლის თვის ბოლომდე.

6. პენსიის გადაანგარიშებული ოდენობის გაცემა დაიწყება პენსიის მიმღების ასაკის შეცვლის თვის შემდგომი თვიდან.

თავი V

შესაძლებლობის შეზღუდვისას პენსიის დაანგარიშების, დანიშვნის, გაცემისა და გადაანგარიშების წესი

მუხლი 18. შესაძლებლობის შეზღუდვისას პენსიის გაცემა პროგრამული გატანით

1. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილის ან მონაწილის წარმომადგენლის მიერ განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია შესაძლებლობის შეზღუდვის გამო პენსიის პროგრამული გატანით გაცემა, პენსიის დანიშვნა და პროგრამული გატანით გაცემა მოხდება ამ ინსტრუქციის მე-14 მუხლით განსაზღვრული წესით.

2. საპენსიო სააგენტოს მიერ შესაძლებლობის შეზღუდვისას დანიშნული პენსიის გადაანგარიშება მოხდება ამ ინსტრუქციის მე-17 მუხლით განსაზღვრული წესით.

მუხლი 19. შესაძლებლობის შეზღუდვისას პენსიის მიღების მიზნით სადაზღვევო ანუიტეტური პროდუქტის შეძენა

იმ შემთხვევაში, თუ მონაწილის ან მონაწილის წარმომადგენლის მიერ განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია პენსიის მიღების მიზნით სადაზღვევო ანუიტეტური პროდუქტის შეძენა, აღნიშნული

განხორციელდება ამ ინსტრუქციის მე-15 მუხლით განსაზღვრული წესით.

მუხლი 20. შესაძლებლობის შეზღუდვისას პენსიის ერთიანი გადახდით მიღება

იმ შემთხვევაში, თუ მონაწილის ან მონაწილის წარმომადგენლის მიერ განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია შესაძლებლობის შეზღუდვის გამო პენსიის ერთიანი გადახდით გაცემა, საპენსიო აქტივების ღირებულების შესაბამისი თანხის გაცემა მოხდება წინამდებარე ინსტრუქციის მე-16 მუხლით განსაზღვრული წესით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაბეგვრის პირობით, იმ განსხვავებით, რომ შესაძლებლობის შეზღუდვის გამო საპენსიო აქტივების ღირებულების ერთიანი გადახდით გაცემისას არ იქნება გათვალისწინებული წინამდებარე ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

თავი VI

მემკვიდრისათვის მონაწილის საპენსიო აქტივების გადაცემის წესი

მუხლი 21. გარდაცვლილი მონაწილის საპენსიო აქტივების მემკვიდრის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადატანა

1. თუ გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის მიერ განცხადებით მოთხოვნილია გარდაცვლილი მონაწილის საპენსიო აქტივების მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადატანა, ინსტრუქციით განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში საპენსიო სააგენტო:

ა) შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გარდაცვლილი მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების მონაწილის მემკვიდრის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადატანის თაობაზე და ასეთ გადაწყვეტილებას უგზავნის მემკვიდრეს, მისი ინდივიდუალური საპენსიო გვერდის მეშვეობით;

ბ) გარდაცვლილი მონაწილის ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშიდან გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადაიტანს გარდაცვლილი მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხულ საპენსიო აქტივებს.

2. ამ მუხლის შესაბამისად საპენსიო აქტივების გადატანის შედეგად, გარდაცვლილი მონაწილის საპენსიო აქტივები გახდება გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის საკუთრება და მემკვიდრე უფლებამოსილი იქნება განკარგოს ასეთი აქტივები როგორც საკუთარი საპენსიო აქტივები, კანონის, საპენსიო სააგენტოს ნორმატიული აქტებისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

3. იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე უკვე არის საპენსიო ასაკის და იღებს პენსიას წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად, მის საპენსიო ანგარიშზე გადატანილი საპენსიო აქტივების გათვალისწინებით, მემკვიდრის პენსიის გადაანგარიშება მოხდება მე-17 მუხლით განსაზღვრული წესით.

მუხლი 22. გარდაცვლილი მონაწილის საპენსიო აქტივების ღირებულების, შესაბამისი თანხის მემკვიდრისათვის ერთიანი გადახდით გაცემა

თუ გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის მიერ განცხადებით მოთხოვნილია გარდაცვლილი მონაწილის საპენსიო აქტივების ღირებულების ერთიანი გადახდით მიღება, აღნიშნული განხორციელდება წინამდებარე ინსტრუქციის მე-16 მუხლით განსაზღვრული წესით, იმ განსხვავებით, რომ მემკვიდრისათვის საპენსიო აქტივების ღირებულების ერთიანი გადახდით გაცემისას არ იქნება გათვალისწინებული ზემოხსენებული ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის მიერ მისაღები თანხის დაბეგვრის საკითხები გადაწყდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 23. მემკვიდრეთა სიმრავლე

1. თუ გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის მიერ წარმოდგენილი სამკვიდრო მოწმობის თანახმად, გარდაცვლილ მონაწილეს რამდენიმე მემკვიდრე ჰყავს, ასეთ შემთხვევაში, განცხადების წარმომდგენი მემკვიდრე უფლებამოსილია მიიღოს საპენსიო აქტივების მხოლოდ ნაწილი, რომელიც დაანგარიშებულ იქნება სამკვიდრო მოწმობაში მითითებული პროპორციის შესაბამისად.

2. საპენსიო სააგენტო განცხადების მიღების შემდეგ მოქმედებს სამკვიდრო მოწმობისა და მემკვიდრის მიერ წარმოდგენილი განცხადების შესაბამისად. კერძოდ, სამკვიდრო მოწმობაში მითითებული პროპორციის შესაბამისად ანგარიშობს საპენსიო აქტივებიდან განცხადების წარმომდგენი მემკვიდრის წილს და გადასცემს მას ასეთ მემკვიდრეს მის მიერ არჩეული ფორმით. საპენსიო აქტივების ღირებულების დარჩენილი ოდენობა რჩება გარდაცვლილი მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე და შესაძლოა გაიცეს წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად, სხვა მემკვიდრე(ებ)ის განცხადებ(ებ)ის საფუძველზე.

თავი VII

საქართველოს სამუდამოდ დატოვებისას საპენსიო აქტივების დაანგარიშების, დანიშვნის, გაცემისა და გადაანგარიშების წესი

მუხლი 24. საქართველოს სამუდამოდ დატოვებისას საპენსიო აქტივების პროგრამული გატანით მიღება

1. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილის ან მონაწილის წარმომადგენლის მიერ განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია საქართველოს სამუდამოდ დატოვების გამო პენსიის პროგრამული გატანით მიღება, პენსიის პროგრამული გატანით გაცემა მოხდება ამ ინსტრუქციის მე-14 მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად, იმ განსხვავებით, რომ:

ა) გასაცემი პენსიის დაანგარიშება მოხდება შემდეგი ფორმულით: MP = PA / T / 12,

სადაც:

MP არის ყოველთვიური პენსია;

PA არის მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების ღირებულება, გამოთვლის დღის მდგომარეობით დარიცხული საინვესტიციო შემოსავლის, ნამეტი შემოსავლის და სხვა შემოსავლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი ხარჯისა და დანაკარგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით; გამოკლებული სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანები და განცხადების მიღების დღის მდგომარეობით ასეთ საპენსიო შენატანებზე დარიცხული საინვესტიციო შემოსავლის, ნამეტი შემოსავლის და სხვა შემოსავლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი ხარჯისა და დანაკარგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით;

T არის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით გამოთვლის დღისათვის მონაწილის სიცოცხლის მოსალოდნელი დარჩენილი წლების რაოდენობა;

12 არის წელიწადში თვეების რაოდენობა;

ბ) საპენსიო აქტივების მიმღების მიერ მისაღები პენსიის დაბეგვრის საკითხები გადაწყდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

2. საპენსიო სააგენტოს მიერ საქართველოს სამუდამოდ დატოვების გამო გასაცემი საპენსიო აქტივების ღირებულების გადაანგარიშება მოხდება ამ ინსტრუქციის მე-17 მუხლით განსაზღვრული წესით.

მუხლი 25. საქართველოს სამუდამოდ დატოვებისას საპენსიო აქტივების ერთიანი გადახდით მიღება

1. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილის ან მონაწილის წარმომადგენლის მიერ განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია საქართველოს სამუდამოდ დატოვების გამო საპენსიო აქტივების ერთიანი გადახდით მიღება, საპენსიო სააგენტოს მიერ საპენსიო აქტივების ღირებულების დანიშვნა და გაცემა მოხდება ამ

ინსტრუქციის მე-16 მუხლის შესაბამისად, იმ განსხვავებით, რომ:

ა) საქართველოს სამუდამოდ დატოვებისას, პენსიის დანიშვნა-გაცემისას არ იქნება გათვალისწინებული ზემოხსენებული ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი;

ბ) საპენსიო აქტივების მიმღების მიერ ერთიანი გადახდით მისაღები საპენსიო აქტივების ღირებულების განსაზღვრა მოხდება შემდეგნაირად: საპენსიო აქტივების მიმღების ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების ღირებულებას, გამოთვლის დღის მდგომარეობით დარიცხული საინვესტიციო შემოსავლის, ნამეტი შემოსავლის და სხვა შემოსავლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი ხარჯისა და დანაკარგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით;გამოკლებული სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანები დ„ა გამოთვლის დღის მდგომარეობით ასეთ საპენსიო შენატანებზე დარიცხული საინვესტიციო შემოსავლის, ნამეტი შემოსავლის და სხვა შემოსავლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შესაბამისი ხარჯისა და დანაკარგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით; და

გ) პენსიის მიმღების მიერ მისაღები პენსიის დაბეგვრის საკითხები გადაწყდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

თავი VIII

შეუსაბამობის გამოვლენა და ადმინისტრაციული წარმოების წესი

მუხლი 26. შეუსაბამობის გამოვლენა

1. საპენსიო სააგენტო პერიოდულად ადარებს და ამოწმებს მონაცემებს და შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში ახდენს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების შესაბამის კორექტირებას.

2. შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია მოითხოვოს პენსიის მიმღებისათვის ან/და გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრისათვის შეცდომით გადახდილი ნებისმიერი თანხის უკან დაბრუნება. საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია, მოახდინოს შეცდომით გაცემული თანხების გამოქვითვა შესაბამისი პენსიის მიმღებისათვის გადასახდელი თანხებიდან (ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში) პენსიის მიმღების თანხმობის გარეშე, არაუმეტეს ყოველთვიური პენსიის 50%-ის გამოქვითვის გზით. საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეცდომით გადატანილი საპენსიო აქტივები მემკვიდრის თანხმობის გარეშე დააბრუნოს გარდაცვლილი მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე.

3. საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს წერილობითი ფორმით მოითხოვოს პენსიის მიმღების ან გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის მიერ მიღებული ნებისმიერი თანხის უკან დაბრუნება, თუ ასეთი თანხის მიღების შემდეგ დადგინდება, რომ ის პენსიის მიმღებს ან გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრეს შეცდომით გადაეცა; პენსიის/საპენსიო აქტივების მიმღების ან მემკვიდრის მიერ ასეთი მოთხოვნის საპენსიო სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, შეცდომით გაცემული თანხის უკან დაბრუნების მიზნით.

4. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განხორციელებული შედარების შედეგად დადგინდება, რომ საპენსიო სააგენტოს ნაკლებობით აქვს გადახდილი პენსია ან საპენსიო აქტივები პენსიის მიმღებისათვის ან/და გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრითვის, საპენსიო სააგენტო უზრუნველყოფს შესაბამისი ოდენობის თანხის დამატებას შესაბამის პენსიაზე/საპენსიო აქტივზე, არანაკლებ ასეთი შეუსაბამობის აღმოჩენიდან 30 სამუშაო დღის ვადისა.

მუხლი 27. ადმინისტრაციული წარმოების წესი

ამ ინსტრუქციის ფარგლებში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოებისას და მასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებისას გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის

ნორმები.

მუხლი 28. კომუნიკაცია

1. ამ ინსტრუქციის ფარგლებში საპენსიო სააგენტოს მიერ მომზადებული ან/და დამუშავებული დოკუმენტი / ინფორმაცია ადრესატს ეგზავნება / წარედგინება: ა) წერილობითი ფორმით ფოსტის მეშვეობით საპენსიო სააგენტოსათვის ცნობილ მისამართზე გაგზავნის გზით ან ბ) პირადად გადაცემის (საპენსიო სააგენტოში ან უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გამოცხადების შემთხვევაში) გზით ან გ) ელექტრონული ფორმით ელექტრონული სისტემის მეშვეობით გაგზავნის გზით ან დ) საპენსიო სააგენტოს ნორმატიული აქტით განსაზღვრული სხვა გზით.

2. დოკუმენტის / ინფორმაციის გაგზავნის ან/და წარდგენის ფორმას ირჩევს საპენსიო სააგენტო, თუკი ამ ინსტრუქციით პირდაპირ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესით გაგზავნის/ჩაბარების შემთხვევაში დოკუმენტი პირისათვის ჩაბარებულად ითვლება, თუ დოკუმენტი ჩაჰბარდა:

ა)ადრესატს პირადად;

ბ) ადრესატის უფლებამოსილ ან კანონიერ წარმომადგენელს;

გ) ადრესატის საცხოვრებელ ადგილზე, ან საპენსიო სააგენტოსათვის ცნობილ ადრესატის ნებისმიერ მისამართზე ამ პირთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს;

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათგვალისწინებულ შემთხვევაში, დოკუმენტის ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე ან ფოსტის შესაბამის დოკუმენტზე მიმღების ხელმოწერით.

5. საპენსიო სააგენტო უზრუნველყოფს დოკუმენტის / ინფორმაციის წარდგენას ან/და განმეორებით გაგზავნას ადრესატისათვის, თუ ადრესატს ერთხელ უკვე გაეგზავნა / წარედგინა დოკუმენტი წერილობითი ფორმით ფოსტის მეშვეობით გაგზავნის გზით და ადრესატისათვის მისი ჩაბარება ვერ მოხერხდა.

6. ინდივიდუალური საპენსიო გვერდზე საპენსიო სააგენტოს მიერ განთავსებულ „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ხელმოწერილ ან/და შტამპდასმულ ელექტრონულ დოკუმენტს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მატერიალური ფორმით შედგენილ, სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტს. ინდივიდუალურ საპენსიო გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ან/და შეტყობინება საპენსიო აქტივებთან ან/და მასთან დაკავშირებულ პროცესებთან დაკავშირებით წარმოადგენს საპენსიო სააგენტოს მიერ ელექტრონული სისტემის მეშვეობით პენსიის მიმღებისათვის/მემკვიდრისათვის მიწოდებულ ინფორმაციას/შეტყობინებას.

7. ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ინდივიდუალურ საპენსიო გვერდზე საპენსიო სააგენტოს მიერ განთავსებული ყველა დოკუმენტი/ინფორმაცია ჩაითვლება ჩაბარებულად ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე, ან ელექტრონულ სისტემაში ადრესატის შესაბამის გვერდზე განთავსებიდან 30-ე კალენდარულ დღეს, თუ ამ ვადაში ადრესატი შეტყობინებას არ გასცნობია.

8. საპენსიო სააგენტოსათვის ნებისმიერი ფორმით წარდგენილი ყველა დოკუმენტის/ინფორმაციის ნამდვილობაზე, უტყუარობასა და სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მის წარმდგენ პირს, განურჩევლად იმისა, თუ კომუნიკაციის რა საშუალებით არის შესაბამისი დოკუმენტი წარდგენილი.

9. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ელექტრონულ სისტემაში დაცული ელექტრონული დოკუმენტის ამობეჭდილი სახით დაინტერესებული პირისთვის გაცემისას, საპენსიო სააგენტოს ან უფლებამოსილი თანამშრომელი საკუთარი ხელმოწერით ადასტურებს აღნიშნული ამობეჭდილი დოკუმენტის იდენტურობას შესაბამის ელექტრონულ დოკუმენტთან.

მუხლი 29. პერსონალური მონაცემების დამუშავება

1. საპენსიო სააგენტო, ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული მიზნებისათვის უფლებამოსილია დაამუშავოს მონაწილის, პენსიის მიმღების, გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის, წარმომადგენლის და სხვა დაინტერესებული პირის პერსონალური მონაცემები, მათ შორის, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და მესამე პირების მეშვეობით.

2. დაგროვებითი საპენსიო სქემის ადმინისტრირებისა და მართვის მიზნით, პენსიის მიმღებისა და გარდაცვლილი მონაწილის პერსონალური მონაცემები ელექტრონულ სისტემაში ინახება განუსაზღვრელი ვადით.

3. საპენსიო სააგენტოს ვალდებულია მონაწილის გარდაცვალების სტატუსის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, დაბლოკოს გარდაცვლილი მონაწილის ინდივიდუალური საპენსიო გვერდი.

დანართი 1 (ა). განცხადების ფორმა საპენსიო ასაკში პენსიის მიღების შესახებ, მონაწილის მიერ წარდგენის შემთხვევაში

სსიპ – საპენსიო სააგენტოს დირექტორს

განცხადება

საპენსიო ასაკში პენსიის მიღების შესახებ

მე, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე _____ [სახელი, გვარი] (პ/ნ: _____), წინამდებარე განცხადების თარიღისათვის ვარ საპენსიო ასაკის. შესაბამისად, მსურს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მივიღო პენსია ჩემ მიერ შერჩეული შემდეგი ფორმით:

საპენსიო ასაკში პენსიის მიღების ფორმები	**მონიშვნის გრაფა**
ა) პროგრამული გატანით	
ა.ა) პენსიის გადაანგარიშებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შეცვლის პირობით	
ა.ბ) პენსიის გადაანგარიშებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შეცვლის პირობის გარეშე	
ბ) ერთიანი გადახდით	
გ) სადაზღვევო ანუიტეტური პროდუქტის შეძენით	

ვადასტურებ, რომ გავეცანი საპენსიო სააგენტოს დირექტორის 20[...] წლის [...] № [...] ბრძანებით დამტკიცებულ „პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემის შესახებ ინსტრუქციას“ (შემდგომში – ინსტრუქცია) და ჩემთვის, ცნობილია შემდეგი:

- ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმით (რომელიც გათვალისწინებულია ზემოთ მოცემული ცხრილის ა.ბ პუნქტში) პროგრამული გატანის არჩევის შემთხვევაში დაგროვებითი პენსიის დანიშვნისას განსაზღვრული სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ამოწურვის შემდეგ ვეღარ მივიღებ დაგროვებით პენსიას, რამდენადაც ჩემს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივები ამოწურული იქნება.

- ჩემ მიერ მისაღები თანხის დაბეგვრის საკითხები გადაწყდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

- წინამდებარე განცხადებასთან დაკავშირებით საპენსიო სააგენტოს შეტყობინებები/ გადაწყვეტილებები, მათ შორის და არა მხოლოდ პენსიის დანიშვნის, პენსიის დანიშვნაზე უარის და პენსიის გადაანგარიშების შესახებ საპენსიო სააგენტოს მიერ მიღებული ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების ჩემთვის გაცნობა მოხდება ჩემს ინდივიდუალურ საპენსიო გვერდზე განთავსების გზით.

- საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აღნიშნულისათვის კი მიმართოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს ინფორმაციის/მონაცემების გამოთხოვის, დამუშავების მიზნით.

- წინამდებარე განცხადების განხილვის მიზნით, დამუშავდება პერსონალური მონაცემები.

- პასუხისმგებელი ვარ წინამდებარე განცხადების და მისი დანართ(ებ)ის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობაზე და სისწორეზე.

თანდართული დოკუმენტები:

[...]

ტელეფონის ნომერი: [...]

მისამართი: [...]

ელფოსტა: [...]

მონაწილის ხელმოწერა:

თარიღი: _____

დანართი 1 (ბ). განცხადების ფორმა საპენსიო ასაკში პენსიის მიღების შესახებ, მონაწილის წარმომადგენლის მიერ წარდგენის შემთხვევაში

სსიპ – საპენსიო სააგენტოს დირექტორს

განცხადება

საპენსიო ასაკში პენსიის მიღების შესახებ

მე, _____ (პ/ნ: _____) დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის - _____ (პ/ნ: _____) (შემდგომში – მონაწილე) წარმომადგენელი, წინამდებარე განცხადების საფუძველზე, მონაწილის სახელით ვაცხადებ, რომ მონაწილე ამ განცხადების თარიღისათვის არის საპენსიო ასაკის. შესაბამისად, სურს

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მივიღოს პენსია ჩემ მიერ შერჩეული შემდეგი ფორმით:

საპენსიო ასაკში პენსიის მიღების ფორმები	**მონიშვნის გრაფა**
ა) პროგრამული გატანით	
ა.ა) პენსიის გადაანგარიშებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შეცვლის პირობით	
ა.ბ) პენსიის გადაანგარიშებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შეცვლის პირობის გარეშე	
ბ) ერთიანი გადახდით	
გ) სადაზღვეო ანუიტეტური პროდუქტის შეძენით	

ვადასტურებ, რომ გავეცანი საპენსიო სააგენტოს დირექტორის 20[..] წლის [..] № [..] ბრძანებით დამტკიცებულ „პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემის შესახებ“ ინსტრუქციას (შემდგომში – ინსტრუქცია) და როგორც ჩემთვის ისევე მონაწილისთვის ცნობილია შემდეგი:

- ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმით (რომელიც გათვალისწინებულია ზემოთ მოცემული ცხრილის ა.ბ პუნქტში) პროგრამული გატანის არჩევის შემთხვევაში დაგროვებითი პენსიის დანიშვნისას განსაზღვრული სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ამოწურვის შემდეგ პენსიის მიმღები ვერ მიიღებს დაგროვებით პენსიას, რამდენადაც მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივები ამოწურული იქნება.

- პენსიის/საპენსიო აქტივების მიღების შემთხვევაში მონაწილის მიერ მისაღები თანხის დაბეგვრის საკითხები გადაწყდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

- წინამდებარე განცხადებასთან დაკავშირებით საპენსიო სააგენტოს შეტყობინებები/ გადაწყვეტილებები, მათ შორის და არა მხოლოდ პენსიის დანიშვნის, პენსიის დანიშვნაზე უარის და პენსიის გადაანგარიშების შესახებ საპენსიო სააგენტოს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მონაწილისათვის/ პენსიის მიმღებისათვის გაცნობა მოხდება მის ინდივიდუალურ საპენსიო გვერდზე განთავსების გზით.

- საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აღნიშნულისათვის კი მიმართოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს ინფორმაციის/მონაცემების გამოთხოვის, დამუშავების მიზნით.

- წინამდებარე განცხადების განხილვის მიზნით, დამუშავდება პერსონალური მონაცემები.

- პასუხისმგებელი ვარ წინამდებარე განცხადების და მისი დანართ(ებ)ის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობაზე და სისწორეზე.

თანდართული დოკუმენტები:

[...]

ტელეფონის ნომერი: [...]

მისამართი: [...]

ელფოსტა: [...]

მონაწილის წარმომადგენლის ხელმოწერა:

თარიღი: [...]

დანართი 2 (ა). განცხადების ფორმა შესაძლებლობის შეზღუდვის გამო პენსიის მიღების შესახებ მონაწილის მიერ წარდგენის შემთხვევაში

სსიპ – საპენსიო სააგენტოს დირექტორს

განცხადება

შესაძლებლობის შეზღუდვისას პენსიის მიღების შესახებ

მე, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე _____ (პ/ნ: _____), წინამდებარე განცხადების თარიღისათვის ვარ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რაც დასტურდება წინამდებარე განცხადებაზე თანდართული შესაბამისი დოკუმენტით. შესაბამისად, მსურს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მივიღო პენსია ჩემ მიერ შერჩეული შემდეგი ფორმით:

შესაძლებლობების შეზღუდვისას პენსიის მიღების ფორმები	**მონიშვნის გრაფა**
ა) პროგრამული გატანით	
ა.ა) პენსიის გადაანგარიშებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შეცვლის პირობით	
ა.ბ) პენსიის გადაანგარიშებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შეცვლის პირობის გარეშე	
ბ) ერთიანი გადახდით	
გ) სადაზღვეო ანუიტეტური პროდუქტის შეძენით	

ვადასტურებ, რომ გავეცანი საპენსიო სააგენტოს დირექტორის 20[..] წლის [..] № [..] ბრძანებით დამტკიცებულ „პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემის შესახებ ინსტრუქციას“ (შემდგომში - ინსტრუქცია) და ჩემთვის ცნობილია შემდეგი:

- ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმით (რომელიც გათვალისწინებულია ზემოთ მოცემული ცხრილის ა.ბ პუნქტში) პროგრამული გატანის არჩევის შემთხვევაში დაგროვებითი პენსიის დანიშვნისას განსაზღვრული სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ამოწურვის შემდეგ ვეღარ მივიღებ დაგროვებით პენსიას, რამდენადაც ჩემს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივები ამოწურული იქნება.

- ჩემ მიერ მისაღები თანხის დაბეგვრის საკითხები გადაწყდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

- წინამდებარე განცხადებასთან დაკავშირებით საპენსიო სააგენტოს შეტყობინებები/

გადაწყვეტილებები, მათ შორის და არა მხოლოდ პენსიის დანიშვნის, პენსიის დანიშვნაზე უარის და პენსიის გადაანგარიშების შესახებ საპენსიო სააგენტოს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების ჩემთვის გაცნობა მოხდება ჩემს ინდივიდუალურ საპენსიო გვერდზე განთავსების გზით.

- საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აღნიშნულისათვის კი მიმართოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს ინფორმაციის/მონაცემების გამოთხოვის, დამუშავების მიზნით.

- წინამდებარე განცხადების განხილვის მიზნით, დამუშავდება პერსონალური მონაცემები.

- პასუხისმგებელი ვარ წინამდებარე განცხადების და მისი დანართ(ებ)ის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობაზე და სისწორეზე.

თანდართული დოკუმენტები:

[..]

ტელეფონის ნომერი: [..]

მისამართი: [..]

ელფოსტა: [..]

მონაწილის ხელმოწერა:

თარიღი: [..]

დანართი 2 (ბ). განცხადების ფორმა შესაძლებლობის შეზღუდვისას პენსიის მიღების შესახებ მონაწილის წარმომადგენლის მიერ წარდგენის შემთხვევაში

სსიპ – საპენსიო სააგენტოს დირექტორს

განცხადება

შესაძლებლობის შეზღუდვისას პენსიის მიღების შესახებ

მე, _____ (პ/ნ: _____) დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის - _____ (პ/ნ: _____) (შემდგომში – მონაწილე) წარმომადგენელი, წინამდებარე განცხადების საფუძველზე, მონაწილის სახელით ვაცხადებ, რომ მონაწილე ამ განცხადების თარიღისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, რაც დასტურდება წინამდებარე განცხადებაზე თანდართული შესაბამისი დოკუმენტით. შესაბამისად, სურს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მიიღოს პენსია ჩემ მიერ შერჩეული

ფორმით:

შესაძლებლობების შეზღუდვისას პენსიის მიღების ფორმები	მონიშვნის გრაფა
ა) პროგრამული გატანით	
ა.ა) პენსიის გადაანგარიშებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შეცვლის პირობით	
ა.ბ) პენსიის გადაანგარიშებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შეცვლის პირობის გარეშე	
ბ) ერთიანი გადახდით	
გ) სადაზღვეო ანუიტეტური პროდუქტის შეძენით	

ვადასტურებ, რომ გავეცანი საპენსიო სააგენტოს დირექტორის 20[..] წლის [..] № [..] ბრძანებით დამტკიცებულ „პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემის შესახებ ინსტრუქციას“ (შემდგომში – ინსტრუქცია) და როგორც ჩემთვის ისევე მონაწილისთვის ცნობილია შემდეგი:

- ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმით (რომელიც გათვალისწინებულია ზემოთ მოცემული ცხრილის ა.ბ პუნქტში) პროგრამული გატანის არჩევის შემთხვევაში, დაგროვებითი პენსიის დანიშვნისას განსაზღვრული სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ამოწურვის შემდეგ პენსიის მიმღები ვერ მიიღებს დაგროვებით პენსიას, რამდენადაც მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივები ამოწურული იქნება.

- მონაწილის მიერ მისაღები თანხის დაბეგვრის საკითხები გადაწყდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

- წინამდებარე განცხადებასთან დაკავშირებით საპენსიო სააგენტოს შეტყობინებები/ გადაწყვეტილებები, მათ შორის და არა მხოლოდ პენსიის დანიშვნის, პენსიის დანიშვნაზე უარის და პენსიის გადაანგარიშების შესახებ საპენსიო სააგენტოს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების მონაწილისათვის/ პენსიის მიმღებისათვის გაცნობა მოხდება მის ინდივიდუალურ საპენსიო გვერდზე განთავსების გზით.

- საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აღნიშნულისათვის კი მიმართოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს ინფორმაციის/მონაცემების გამოთხოვის, დამუშავების მიზნით.

- წინამდებარე განცხადების განხილვის მიზნით, დამუშავდება პერსონალური მონაცემები.

- პასუხისმგებელი ვარ წინამდებარე განცხადების და მისი დანართ(ებ)ის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობაზე და სისწორეზე.

თანდართული დოკუმენტები:

1. [...]

[...]

ტელეფონის ნომერი: [...]

მისამართი: [...]

ელფოსტა: [...]

მონაწილის წარმომადგენლის ხელმოწერა:

თარიღი: [...]

დანართი 3 (ა). განცხადების ფორმა მემკვიდრისათვის საპენსიო აქტივების გადაცემის შესახებ მემკვიდრის მიერ წარდგენის შემთხვევაში

სსიპ – საპენსიო სააგენტოს დირექტორს

განცხადება

მემკვიდრის მიერ გარდაცვლილი მონაწილის საპენსიო აქტივების მიღების შესახებ

მე, _____ (პ/ნ: _____), დაგროვებითი საპენსიო სქემის გარდაცვლილი მონაწილის - _____ (პ/ნ: _____) (შემდგომში – გარდაცვლილი მონაწილე) მემკვიდრეს, მსურს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მივიღო გარდაცვლილი მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივები ჩემ მიერ შერჩეული შემდეგი ფორმით:

მემკვიდრის მიერ საპენსიო აქტივების მიღების ფორმები	**მონიშვნის გრაფა**
ა) ერთიანი გადახდით	
ბ) მემკვიდრის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადატანის გზით	

ვადასტურებ, რომ გავეცანი საპენსიო სააგენტოს დირექტორის 20[..] წლის [..] № [..] ბრძანებით დამტკიცებულ „პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემის შესახებ ინსტრუქციას“ და ჩემთვის ცნობილია შემდეგი:

- ჩემ მიერ მისაღები თანხის დაბეგვრის საკითხები გადაწყდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

- წინამდებარე განცხადებასთან დაკავშირებით საპენსიო სააგენტოს ნებისმიერი შეტყობინების/ გადაწყვეტილების ან/და საპენსიო სააგენტოს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩემთვის გაცნობა მოხდება ჩემს ინდივიდუალურ საპენსიო გვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსების გზით ან ინდივიდუალურ საპენსიო გვერდის არ არსებობის შემთხვევაში წერილობითი ფორმით, ფოსტის მეშვეობით გაგზავნის გზით.

- საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აღნიშნულისათვის კი მიმართოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს ინფორმაციის/მონაცემების გამოთხოვის, დამუშავების მიზნით.

- წინამდებარე განცხადების განხილვის მიზნით, დამუშავდება პერსონალური მონაცემები.

- პასუხისმგებელი ვარ წინამდებარე განცხადების და მისი დანართ(ებ)ის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობაზე და სისწორეზე.

თანდართული დოკუმენტები:

[..]

ტელეფონის ნომერი: [...]

მისამართი: [...]

ელფოსტა: [...]

მემკვიდრის ხელმოწერა:

თარიღი: [...]

დანართი 3 (ბ). განცხადების ფორმა მემკვიდრისათვის საპენსიო აქტივების გადაცემის შესახებ მემკვიდრის წარმომადგენლის მიერ წარდგენის შემთხვევაში

სსიპ – საპენსიო სააგენტოს დირექტორს

განცხადება

მემკვიდრის მიერ გარდაცვლილი მონაწილის საპენსიო აქტივების მიღების შესახებ

მე, _____ (პ/ნ: _____), დაგროვებითი საპენსიო სქემის გარდაცვლილი მონაწილის - _____ (პ/ნ: _____) (შემდგომში – გარდაცვლილი მონაწილე) მემკვიდრის - _____ (პ/ნ: _____) (შემდგომში – მემკვიდრე) წარმომადგენელი, მემკვიდრის სახელით ვაცხადებ, რომ მემკვიდრეს სურს მიიღოს გარდაცვლილი მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივები „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შემდეგი ფორმით:

მემკვიდრის მიერ საპენსიო აქტივების მიღების ფორმები	მონიშვნის გრაფა
ა) ერთიანი გადახდით	
ბ) მემკვიდრის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადატანის გზით	

ვადასტურებ, რომ გავეცანი საპენსიო სააგენტოს დირექტორის 20[...] წლის [...] № [..]ბრძანებით დამტკიცებულ „პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემის შესახებ ინსტრუქციას“ და როგორც ჩემთვის ისევე გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრისთვის ცნობილია შემდეგი:

- გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრის მიერ მისაღები თანხის დაბეგვრის საკითხები გადაწყდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

- წინამდებარე განცხადებასთან დაკავშირებით საპენსიო სააგენტოს ნებისმიერი შეტყობინების/

გადაწყვეტილების ან/და საპენსიო სააგენტოს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მემკვიდრისათვის გაცნობა მოხდება მის ინდივიდუალურ საპენსიო გვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსების გზით ან ინდივიდუალურ საპენსიო გვერდის არ არსებობის შემთხვევაში, წერილობითი ფორმით, ფოსტის მეშვეობით გაგზავნის გზით.

- საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აღნიშნულისათვის კი მიმართოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს ინფორმაციის/მონაცემების გამოთხოვის, დამუშავების მიზნით.

- წინამდებარე განცხადების განხილვის მიზნით, დამუშავდება პერსონალური მონაცემები.

- პასუხისმგებელი ვარ წინამდებარე განცხადების და მისი დანართ(ებ)ის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობაზე და სისწორეზე.

თანდართული დოკუმენტები:

[...]

ტელეფონის ნომერი: [...]

მისამართი: [...]

ელფოსტა: [...]

მემკვიდრის წარმომადგენლის ხელმოწერა:

თარიღი: [...]

დანართი 4 (ა). განცხადების ფორმა საქართველოს სამუდამოდ დატოვების გამო საპენსიო აქტივების ღირებულების მიღების შესახებ მონაწილის მიერ წარდგენის შემთხვევაში

სსიპ – საპენსიო სააგენტოს დირექტორს

განცხადება

საქართველოს სამუდამოდ დატოვებისას პენსიის მიღების შესახებ

მე, _____ (პ/ნ: _____) დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეს, საქართველოს სამუდამოდ დატოვების გამო მსურს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მივიღო პენსია ჩემ მიერ შერჩეული შემდეგი ფორმით:

საქართველოს სამუდამოდ დატოვებისას პენსიის მიღების ფორმები	**მონიშვნის გრაფა**
ა) პროგრამული გატანით	
ა.ა) პენსიის გადაანგარიშებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შეცვლის პირობით	
ა.ბ) პენსიის გადაანგარიშებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შეცვლის პირობის გარეშე	

ბ) ერთიანი გადახდით	

ვადასტურებ, რომ გავეცანი საპენსიო სააგენტოს დირექტორის 20[..] წლის [..] № [..] ბრძანებით დამტკიცებულ „პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემის გაცემის შესახებ ინსტრუქციას“ (შემდგომში – ინსტრუქცია) და ჩემთვის ცნობილია შემდეგი:

- ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმით (რომელიც გათვალისწინებულია ზემოთ მოცემული ცხრილის ა.ბ პუნქტში) პროგრამული გატანის არჩევის შემთხვევაში, დაგროვებითი პენსიის დანიშვნისას განსაზღვრული სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ამოწურვის შემდეგ ვეღარ მივიღებ საპენსიო აქტივებს, რამდენადაც ჩემს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივები ამოწურული იქნება.

- ჩემ მიერ მისაღები თანხის დაბეგვრის საკითხები გადაწყდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

- წინამდებარე განცხადებასთან დაკავშირებით საპენსიო სააგენტოს შეტყობინებები/ გადაწყვეტილებები, მათ შორის და არა მხოლოდ პენსიის/საპენსიო აქტივების დანიშვნის, პენსიის/საპენსიო აქტივების დანიშვნაზე უარის და პენსიის/საპენსიო აქტივების გადაანგარიშების შესახებ საპენსიო სააგენტოს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტ(ებ)ის ჩემთვის გაცნობა მოხდება ჩემს ინდივიდუალურ საპენსიო გვერდზე განთავსების გზით.

- საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აღნიშნულისათვის კი მიმართოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს ინფორმაციის/მონაცემების გამოთხოვის, დამუშავების მიზნით.

- წინამდებარე განცხადების განხილვის მიზნით, დამუშავდება პერსონალური მონაცემები.

- პასუხისმგებელი ვარ წინამდებარე განცხადების და მისი დანართ(ებ)ის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობაზე და სისწორეზე.

თანდართული დოკუმენტები:

[...]

ტელეფონის ნომერი: [..]

მისამართი: [..]

ელფოსტა: [..]

მონაწილის ხელმოწერა:

თარიღი: [..]

დანართი 4 (ბ). განცხადების ფორმა საქართველოს სამუდამოდ დატოვების გამო საპენსიო აქტივების ღირებულების მიღების შესახებ მონაწილის წარმომადგენლის მიერ წარდგენის შემთხვევაში

სსიპ – საპენსიო სააგენტოს დირექტორს

განცხადება

საქართველოს სამუდამოდ დატოვებისას პენსიის მიღების შესახებ

მე, _____ (პ/ნ: _____) დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის - _____ (პ/ნ: _____) (შემდგომში – მონაწილე) წარმომადგენელი, ვაცხადებ, რომ საქართველოს სამუდამოდ დატოვების გამო მონაწილეს სურს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მიიღოს საპენსიო აქტივები ჩემ მიერ შერჩეული შემდეგი ფორმით:

საქართველოს სამუდამოდ დატოვებისას პენსიის მიღების ფორმები	**მონიშვნის გრაფა**
ა) პროგრამული გატანით	
ა.ა) პენსიის გადაანგარიშებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შეცვლის პირობით	
ა.ბ) პენსიის გადაანგარიშებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შეცვლის პირობის გარეშე	
ბ) ერთიანი გადახდით	

ვადასტურებ, რომ გავეცანი საპენსიო სააგენტოს დირექტორის 20[..] წლის [..] № [..] ბრძანებით დამტკიცებულ „პენსიის და საპენსიო აქტივების გაცემა-დანიშვნის შესახებ ინსტრუქციას“ (შემდგომში – ინსტრუქცია) და როგორც ჩემთვის ისევე მონაწილისთვის ცნობილია შემდეგი:

- ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფორმით (რომელიც გათვალისწინებულია ზემოთ მოცემული ცხრილის ა.ბ პუნქტში) პროგრამული გატანის არჩევის შემთხვევაში, დაგროვებითი საპენსიო აქტივების გაცემისას/დანიშვნისას განსაზღვრული სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ამოწურვის შემდეგ, მონაწილე ვერ მიიღებს დაგროვებით პენსიას, რამდენადაც მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივები ამოწურული იქნება.

- პენსიის/საპენსიო აქტივების მიღების შემთხვევაში მონაწილის მიერ მისაღები თანხის დაბეგვრის საკითხები გადაწყდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

- წინამდებარე განცხადებასთან დაკავშირებით საპენსიო სააგენტოს შეტყობინებები/ გადაწყვეტილებები, მათ შორის და არა მხოლოდ საპენსიო აქტივების გაცემის, საპენსიო აქტივების გაცემაზე უარის და საპენსიო აქტივების გადაანგარიშების შესახებ საპენსიო სააგენტოს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მონაწილისათვის/პენსიის მიმღებისათვის გაცნობა მოხდება მის ინდივიდუალურ საპენსიო გვერდზე განთავსების გზით.

- საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. აღნიშნულისათვის კი მიმართოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს ინფორმაციის/მონაცემების გამოთხოვის, დამუშავების მიზნით.

- წინამდებარე განცხადების განხილვის მიზნით, დამუშავდება პერსონალური მონაცემები.
- პასუხისმგებელი ვარ წინამდებარე განცხადების და მისი დანართ(ებ)ის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობაზე და სისწორეზე.

თანდართული დოკუმენტები:

[...]

ტელეფონის ნომერი: [..]

მისამართი: [..]

ელფოსტა: [..]

მონაწილის წარმომადგენლის ხელმოწერა:

თარიღი: [...]